გადაწყვეტილება

N გ-22-7/407
22/09/2022

407-გ-22-1-4-202209221717

საზღვაო ხომალდებისთვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ კომისიას მომართა შუამდგომლობით (№ შ-22-3/3401, 09.09.22), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული მცურავი საშუალებებისთვის სახმობისა და ამოცნობი ნიშნების (MMSI) მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, „DEFENDER P-003“, „DEFENDER P-004“, „DEFENDER P-005“ და „DEFENDER P-006“-ს საზღვაო ხომალდებს შესაძლებელია მიენიჭოს შერჩეული სახმობები და ამოცნობის ნიშნები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47' მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს საზღვაო ხომალდებს: „DEFENDER P-003“, „DEFENDER P-004“, „DEFENDER P-005“ და „DEFENDER P-006“-ს ცხრილში აღნიშნული სახმობები და ამოცნობის ნიშნები:

№	ხომალდის დასახელება	ხომალდის მფლობელი	მინიჭებული სახმობი	მინიჭებული MMSI
1	DEFENDER P-003	სანაპირო დაცვის დეპარტამენტი GEORGIAN COAST GUARD SHIP	4LXS2	213 581 000
2	DEFENDER P-004	სანაპირო დაცვის დეპარტამენტი GEORGIAN COAST GUARD SHIP	4LXT2	213 582 000
3	DEFENDER P-005	სანაპირო დაცვის დეპარტამენტი GEORGIAN COAST GUARD SHIP	4LXU2	213 583 000

4	DEFENDER P-006	სანაპირო დაცვის დეპარტამენტი GEORGIAN COAST GUARD SHIP	4LXV2	213 585 000

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი